საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/28

ქ. ბათუმი -19- მაისი, 2017 წ

თურქეთში ერზრუმის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების, კომისიის შემადგენლობისა და კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის N1106 ბრძანების მე–13 და მე-14 მუხლების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 18 მაისის NMES 5 17 00523099 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თურქეთში, ერზრუმის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში (2017 წლის 2-14 ივლისის ჩათვლით) მონაწილეობისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის თანდართული წესი **(დანართი N1).**
2. კანდიდატთა შერჩევის მიზნით საკონკურსო ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

   ა) საბუთების მიღება - 2017 წლის 19 მაისიდან 2017 წლის 29 მაისის ჩათვლით (18:00 საათამდე) ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით;

   ბ) გამოცდა (ფორმა- ტესტირება) ინგლისურ ენაში (B2 დონე) - 2017 წლის 30 მაისი, ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში;

   გ) გასაუბრება - 2017 წლის 01 ივნისი (შესარჩევ კომისიასთან, ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი N35, მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35) .
3. დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

   ბ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) ხათუნა ხაბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

4. თურქეთში, ერზრუმის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მიზნით შესარჩევ სტუდენტთა რაოდენობა და პირობები (ხანგრძლივობა, მგზავრობა, დაბინავება და სხვა) სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე), რისი უზრუნველყოფა დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და კანცელარიას.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის N30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე, პროფესორი **თამარ სირაძე**

01-08/28

(დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 19 მაისის N ---- ბრძანებით)

დანართი 1

ერზრუმის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი

1. კანდიდატების შერჩევა ხორციელდება 3 ეტაპად შემდეგნაირად:

ა) I ეტაპი: კანდიდატების მიერ დადგენილ დროში შემოტანილი საბუთების შეფასება (მაქსიმალური შეფასება - 40 ქულა)

პირობები:	მაქსიმალური ქულა	**კანდიდატის ქულა**
აკადემიური მოსწრება	20 (=აკადემიური მოსწრების 100 ქულა)	
სამოტივაციო წერილი	10 (0-10)	
CV	10 (0-10)	

ბ) II ეტაპი: ინგლისური ენის ტესტი B2 (მაქსიმალური შეფასება - 40 ქულა):

1. გამსვლელი ქულა - 100 ქულიანი ტესტის არანაკლებ 71 ქულა (კანდიდატის მე-2 ეტაპზე შეფასების 28 ქულა);
2. კანდიდატის შეფასება გამოითვლება შემდეგი პროპორციის გათვალისწინებით: 100 ქულა =მაქსიმალურ შეფასებას (40 ქულა)

გ) III ეტაპი- გასაუბრება (მაქსიმალური 20 ქულა)

2. **კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება შემდეგ შემთხვევებში:**
   ა) არასრულად არის შევსებული აპლიკაცია (არ ერთვის CV, სამოტივაციო წერილი, აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ცნობა ან სხვა საჭირო დოკუმენტაცია);
   ბ) კანდიდატს შეჩერებული აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

3. **კანდიდატი მოიხსნება კონკურსიდან და არ დაიშვება მე-3 ეტაპზე (გასაუბრება),** თუ ინგლისური ენის ტესტირების შედეგად მიღებული ქულა არის 28 ქულა და ნაკლები, საერთო შეფასებიდან (40 ქულა).

4. **კონკურსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების** (საბუთების გადარჩევის, ტესტირების, გასაუბრების განრიგის და გასაუბრების შედეგების) ბსუ-ს ვებგვერდზე **გამოქვეყნებას** უზრუნველყოფს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შესაბამის ველებში: ,,კონკურსები" და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის სიახლეების ველში).

5. **ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები** გაიგზავნება მიმღებ უნივერსიტეტში არაუგვიანეს 2017 წლის 2 ივნისისა.

6. **კონკურსის საბოლოო შედეგები** გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე, ბსუ-ს საკონკურსო კომისიის საერთო შეფასებისა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილების საფუძველზე.